
სახელმძღვანელო პრინციპები ავტორებისათვის

სარედაქციო კოლეგია სთავაზობს მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებს გამოაქვეყნონ „ქართული სამართლის მიმოხილვაში“ სტატიები სამართლის თანამედროვე ტენდენციების შესახებ, ახალი კანონმდებლობის კომენტარები, პრეცედენტული სამართლის ანალიზი და იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სტუდენტურ ფორუმში.

შინაარსობრივი მოთხოვნები

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომის შინაარსი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ პრიორიტეტულ სფეროებს. სარედაქციო კოლეგია ნაშრომს მიიღებს თემის აქტუალურობის, ხარისხის და საქართველოში სამართლის განვითარებაზე შესაძლო გავლენის გათვალისწინებით.

ტექნიკური მოთხოვნები

ნაშრომი „ქართული სამართლის მიმოხილვაში“ გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით, ქართულ ან ინგლისურ ენაზე. გამოყენებულ უნდა იქნეს ქართული შრიფტი „AcadNusX“-ი, ხოლო ინგლისური – „Arial“-ი. ტექსტის შრიფტის ზომა უნდა იყოს 10, ხოლო სქოლიოს – 8. ხაზებს შორის დაშორება უნდა იყოს ერთი ერთეული. სტატია, ჩვეულებრივ, უნდა შედგებოდეს 8-20, ხოლო სხვა სახის ნაშრომი არა უმეტეს 5 გვერდისაგან.

ნაშრომის მიღების წესი

გადაწყვეტილება ნაშრომის მიღების, უარის თქმის ან შესწორების აუცილებლობის შესახებ ავტორს ეცნობება ნაშრომის წარმოდგენიდან 8 კვირის განმავლობაში. სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა. სარედაქციო კოლეგია იტოვებს უფლებას მოსთხოვოს ავტორს გამოსაქვეყნებლად მიღებულ ნაშრომში შესწორებისა და/ან დამატების შეტანა, ასევე, ნებისმიერ დროს, უარი თქვას, ან გადადოს მასალის გამოქვეყნება. გამოსაქვეყნებლად მიღებული ყველა ნაშრომი სარედაქციო კოლეგიის შეხედულებით შეიძლება დაექვემდებაროს ენობრივ და გრამატიკულ შესწორებას.

საავტორო უფლება

ავტორმა წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ წარმოდგენილი ნაშრომი (მთლიანად ან ნაწილობრივ) არ არის გამოქვეყნებული, წარდგენილი ან მიღებული გამოსაქვეყნებლად სხვა გამოცემაში. საავტორო უფლება ეკუთვნით „ქართული სამართლის მიმოხილვასა“ და ავტორს ერთობლივად.